სხვა და სხვა ნაირი ინტონაციები არსებობს. მათი ერთი ნაწილი ადამიანის განწყობას, გრძნობებსა და აზრებს გადმოსცემს, მის მოძრაობას (სიარულს, გაქცევას) , ან კიდევ ხმებსა და სხვა ცხოვრებისეულ მოვლენებს ასახავს. მაგალითად გარა გარაევის საფორთეპიანო პიესა „ფიქრიანში“, რომელიც წინა გაკვეთილზე განვიხილეთ, ადამიანის სევდიანი განწყობა იგრძნობა. „მხიარულ ნაძვისხეში“ კი, რომელიც აღაბაჯი რზაევამ თოფიგ მუთალლიმოვის ლექსზე შექმნა, ბავშვების საახალწლო განწყობა მოსჩანს. როგორც ვთქვით, არსებობს ნაწარმოებები, რომლებიც ამათუ იმ მოძრაობას გადმოსცემს. მაგალითად, სიმღერაში– „დაჰკა, ჩემო ჩაქუჩო“–მუსიკალური საშემსრულებლო საშუალებების მეშვეობით აღწერილია სიტუაცია, სადაც ბიჭუნა თავის კატას სახლს უშენებს.



## ÇƏKİCİM, VUR!

***Musiqisi Asya Sultanovanın, sözləri Teymur Elçinindir.***

I

Çəkicim, vur, tıq, tıq, tıq,
Ev tikirik biz.
Çəkicim, vur, tıq, tıq, tıq,
Dayanma işsiz.

***Nəqərat:***
Külək əsir, soyuqdur,
Məstanın evi yoxdur.

II

Çəkicim vur, tıq, tıq, tıq,
Vur mismarı bərk.
Çəkicim vur, tıq, tıq, tıq,
Gərək tələsək.

***Nəqərat:***
Külək əsir, soyuqdur,
Məstanın evi yoxdur.



LAYİHƏ

მოვისმინოთ მუსიკა

### ზერბი–მუღამი „ჰეირათი““

ჩვენი მომღერლები სხვა დვ სხვა დასარტყმელი ინსტრუმენტით აღჭურვილ ანსამბლებთან ერთად ასრულებენ ისეთ მუღამებს, რომლებსაც რიტმული და ზერბი–მუღამები ეწოდებათ. „არაზბარი“, „ჰეირათი“, „ოვშარი“, „მანი“, და „სიმაი–შემსი“ ზერბი მუღამების რიგს განეკუთნებიან. ზერბი–მუღამებში აღელვებული რიტმი და მებრძოლი სული იგრძნობა. ამიტომაც აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს დიდი ჩასაბერი ინსტრუმენტების ანსამბლი სამხედრო პარადებზე ჯარისკაცების ნაბიჯით სვლის შესაბამისად ზერბი–მუღამ „ჰეირათის“ იყენებს.



თოღრულ ნარიმანბეკოვი. „მუღამი“



მხატვარი თოღრულ ნარიმანბეკოვი ამავე დროს მშვენიერი ვოკალური შემსრულებელიც იყო.



**მუსიკალური ლექსიკონი**

**სახვითი ინტონაცია** – მუსიკა, რომელიც გარკვეულ მოძრაობასა და მოვლენებს აღწერს.

## შეკითხვები

1. ვინაა ავტორი სიმღერისა „დაჰკა, ჩემო ჩაქუჩო“?
2. რომელ განწყობას შეესაბამება „დაჰკა, ჩემო ჩაქუჩო“, მაჟორს, თუ მინორს?
3. რა არის ზერბი–მუღამი?
4. რომელი მუღამები შეგიძლია დაასახელო?





## თემა 19

# ზღვა აზერბაიჯანელი და რუსი კლასიკოსი კომპოზიტორების შემოქმედებაში



ნიკოლაი რიმსკი–კორსაკოვი



ფილმ–ოპერიდან „სადკო“ – „აღელვებული ზღვა“



ფილმ–ოპერიდან „სადკო“– „წყალქვეშა საყარო“



თაჰირ სალაჰოვი– გარა გარაევის პორტრეტი“



დოკუმენტური ფილმიდან – „ზღვის ესდაკადა“– „წყნარი ზღვა“

მსოფლიოში ცნობილ რამოდენიმე კომპოზიტორს თავის მუსიკალურ ნაწარმოებში აღწურილი აქვს მშვიდი, ან აღელვებული ზღვა. მაგალითად ,დიდმა რუსმა კომპოზიტორმა ნიკოლაი რიმსკი–კორსაკოვმა ოპერაში „სარკო“ და აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა გარა გარაევმა მუსიკაში, რომელიც დაწერა დოკუმენტური ფილმისათვის „ზღვის ესდაკედა“, განსხვავებული ხასოათის ზღვის სახე შექმნეს.

მოდით, აღნიშნული ნაწარმოებებიდან თითო ფრაგმენტი მოვისმინოთ და შევადაროთ ისინი ზემოთ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების ნიმუშებს.





LAYİHƏ



შევისწავლოთ ახალი სიმღერა

## BALACA NEFTÇİ

***Musiqisi Telman Hacıyevin,***
***sözləri Rəfiq Zəkanındır.***



Neftçidir mənim atam,
İşləyir yorulmadan
Xəzərin qucağında.
Döşündə nişanı var,
Onu hamı tanıyır
Abşeron torpağında.

Hərdən söz düşən zaman,
Ya bir qız, ya bir oğlan
Soruşur, nəçiyəm mən?
Baxıb gülümsəyirəm,
Uşaqlara deyirəm:
— Balaca neftçiyəm mən.

### ენჰარმონიული თანაბარი ხმები

მუსიკალური ნაწარმოებების ნოტურ ნაწერებში ვხვდებით ისეთ ხმებს, რომლებიც სიმაღლის მიხედვით ერთნაირია, მათი სახელები კი განსხვავდება. ასეთ ხმებს ენჰარმონიული თანაბარი ხმები ეწოდება.

მაგალითად, ხმა, რომელიც „დე“-სა და „რე“-ს შორის მდებარეობს, „დო“-ს ნახევარი ტონით აწევის გამო დოდიეზად, ხოლო „რე“-ს ნახევარი ტონით დაწევის გამო რე ბემოლად იწოდება, თუმცა ისინი ერთნაირად ჟღერენ.

| | | |
|---|---|---|
| Do # | = | Re ♭ |
| Re # | = | Mi ♭ |
| Fa # | = | Sol♭ |
| Sol # | = | Lya♭ |
| Lya # | = | Si ♭ |

**მუსიკალური ლექსიკონი**

**სადკო** – რუსული ეპოსის გმირი

### შეკითხვები

1. რომელ კომაოზიტორს აქვს მუსიკა ზღვის თემაზე?
2. ვინ არიან ავტორრები სიმღერისა „პატარა“ მენავთე“?
3. როგორია „პატარა მენავთის“ ხასიათი? ეს სიმღერა მაჟორზეა დაწერილი, თუ მინორზე?
4. რომელ ხმებზე ითქმის ენჰარმონიული ხმები?





LAYİHƏ

თემა 20

# მუსიკის განვითარება


რაუფ ჰაჯიევი

მუსიკა ის ხელოვნებაა, რომელიც მუდმივად მოძრაობს. ესეიგი იმ ნაწარმოებებშიც კი რომლებიც ყველაზე მშვიდ მუსიკას შეიცავენ, მუდმივი დინამიური განვითარებაა. იმ სიმღერებში, რომლებსაც სტროფული აგებულება აქვთ, როცა სტროფი განმეორებით სრულდება, სტყვები იცვლებიან. მისამღერის სიტყვებში სხვა სტროფებში ცვლილება არ ხდება. თუმცა თუ სიმღერის ხასიათი მშვიდი ხასიათისაა, მაშინ მისი მისამღერი ხასიათით მისგან განსხვავდება. ესეიგი ერთ ი სიმღერის შიგნითაც კი მუსიკის განვითარებას ვგრძნობთ.

ორნაირად შეიძლება შევასრულოთ რაუფ ჰაჯიევის სიმღერა „სამური“, რომელიც მან პოეტ მამედ რაჰიმის სიტყვებზე დაწერა. პორველი და მეორე წინადადებები, რომლებიც სიტყვა–პასუხისაგან შედგებიან, რეპრეზას ნიშნით მეორდებიან.

ამიტომაც კომპოზიტორი მეტსო–პიანო და მეტსო–ფორტე გამომხატველ საშუალებებს იყენენებს.



## SAMUR

*Musiqisi Rauf Hacıyevin,*
*sözləri Məmməd Rahimindir.*

I
Bir çay vardır, adı Samur,
Əziz tutar ellər onu. (2)
Gah coşdurar, gah daşdırar,
Dağdan gələn sellər onu. (2)

II
Dərələrdən, təpələrdən
Gurhagurla axar, keçər. (2)
Bənövşəli sahillərə
Heyran-heyran baxar, keçər. (2)

III
İçər onun buz suyundan
Sahillərin reyhanları. (2)
Xoş yerişli, xoş baxışlı
Azərbaycan ceyranları.

თუ სიმღერა „სამურის“ მეორე სტროფს მისი ტექსტის ხასიათის შესაბამისად ფ (ფორტე) ნიუანსით, მესამე სტროფს კი პირველი სტროფივით შევასრულებთ, მაშინ დავინახავთ, რომ სიმღერის საშემსრულებლო ხასიათში გარკვეული განვითარებადი პროცესია.



LAYİHƏ

## თემა 20



6/8 ზომის ტაქტში 6 რვიანი ნოტი თავსდება. სიმღერა „სამურის“ მელოდიაშიც რვიანი ჩერექი, თექვსმეტიანი და წერტილიანი ჩერექ ნოტია გამოყენებული.

### მოვისმინოთ მუსიკა

### თესნიფი „ბაიათი–ისფაჰანი“

მუღამი „ბაიათი–შირაზი“ აზერბაიჯანული მუღამების ძირითად შვიდეულში შედის. მოვისმინოთ თესნიფი „ბაიათი ისფაჰანი“ , რომელიც მის ერთ–ერთ განყოფილებას შეადგენს და მასში ყურადღება მივაქციოთ მუსიკის განვითარებას.

**მუსიკალური ლექსიკონი**

**თესნიფი** – რომანსის ხასიათის ვოკალური ნაწარმოები, რომელიც მუღამის განყოფილებებს შორის სრულდება.



მუღამის სამეული. მომღერალი ალიმ გასიმოვი

### შეკითხვები

1. რას ნიშნავს მუსიკალური განვითარება?
2. ვინ არიან სიმღერა „სამურის“ ავტორები?
3. როგორ ვითარდება მუსიკა „სამურში“?
4. რა არის თესნიფი?
5. როგორ ვითარდება მუსიკა თესნიფში „ბაიათი–ისფაჰანში“?





# თემა 21

## ევროპელი და რუსი კომპოზიტორების შემოქმედებაში ხალხური მუსიკა



მსოფლიოს კომპოზიტორები თავიანთ შემოქმედებაში ყოველთვის იყენებდნენ ხალხური მუსიკის ნიმუშებს. მრავალი წლის წინ ფრანგმა კომპოზიტორმა ჟან ბატისტ ლულლიმ მიმართა რა ფრანგულ ცეკვა „გავოთ“–ს, რომელსაც ფრანგები ზეიმებსა და სახალხო დღესასწაულებზე ასრულებს, ამავე სახელწოდების შესანიშნავი ნაწარმოები შექმნა. შემდეგში ეს ცეკვა საფრანგეთის მეფის სასახლეში სრულდებოდა. დარბაზის ერი მის მელლლოდიაზე ცეკვავდა. „გავოთი1მსუბუქი და ნაზი ცეკვაა. ეს ცეკვაც, როგორც უკვე ვიცით, სამი ნაწილისაგან შედგება. მისი სწრაფ ტემპიანი I და III ნაწილი იდენტურია. II ნაწილი კი თავისი ხასიათით განსხვავებულია.

მოდით მოვისმინოთ ერთი ფრაგმენტი ჟან ბატისტ ლულლინის

Cəld



მეორე კლასიდან ვიცით, რომ დიდმა რუსმა კომპოზიტორმა მ. ი. გლინკამ გამოიყენა რა აზერბაიჯანული ხალხური სიმღერის „კლდის ძირში ფრინველი ვყოფილვიყავი“–ს მუსიკა, ოპერაში „რუსლანი და ლუდმილა“ „ირანელი გოგონების გუნდი“ შექმნა. მოდით მოვისმინოთ გუნდი აღნიშნული ოპერიდან. მერე კი წავიკითხოთ ნოტები ჩვენი ხალხური სიმღერისა.

Marş tempində







LAYİHƏ

## შევისწავლოთ ახალი სიმღერა

### VƏTƏN

***Musiqisi Ağabacı Rzayevanın,***
***sözləri Tofiq Mütəllibovundur.***



აღაბაჯი რზაევა

Vətən! Eşqinlə qazanırıq zəfərlər,
Dəyişir simasını hər gün kəndlər, şəhərlər.
Vətən! Adında olan məna dərindir,
Dünyada ən bəxtəvər sənin nəsillərindir.

ამ სიმღერას მარშული ხასიათის საზეიმო განწყობა გააჩნია. მისი სატაქტო საზომი 2/4 –ია მინორის ლადზე ჟღერს. სიმღერაში რვიან და თექვსმეტიან ჩერექ ნოტებთან ერთად I და IX ტაქტებში წერტილიან რვიან ნოტსაც ვხვდებით, რომელიც მას მარშის ხასიათს ანიჭებს. ეს წერტილი რვიანი ნოტს ნახევრამდე აგრძელებს.



### შეკითხვები

1. ცეკვა „გავოდი" რომელ ხალხს ეკუთნის?
2. რომელმა ფრანგმა კომპოზიტორმა შექმნა ამ სახელწოდების ნაწარმოები?
3. მ.ი. გლინკამ რომელი აზერბაიჯანული სიმღერა გამოიყენა?
4. ვინ არიან სიმღერა „საშობლოს" ავტორები?
5. სხვა რა შეგიძლია თქვა სიმღერა „სამშობლოს" შესახებ.



LAYİHƏ

## თემა 22

# ხალხური მუსიკა აზერბაიჯანელი კომპოზიტორების შემოქმედებაში

ჯერ აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „მთის მწვერვალებს ზამთარში ათოვს“ მოვისმინოთ, რომელიც მხიარული სტროფისა და მისამღერისაგან შედგება, შემდეგ კი კომპოზიტორ მუსა მირზაევის საფორთეპიანო პიესა „გაზაფხულის მუზები“ ავაჟღეროთ.



ამ ორი მუსიკის შედარებისას ცხადი ხდება, რომ აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა კომპოზიტორ მუსა მირზაევის საფორთეპიანო ნაწარმოებში მრავალხმიანი ფორმით სრულდება. ესეიგი ერთხმიანი ხალხური სიმღერა საფორთეპიანო პიესაში ვითარდება და მრავალხმიან მუსიკად გვევლინება. იიმის გამო რომ ორივე ნაწარმოები ერთსა და იმავე მელოდიას ეფუძნება, მხიარულლად ჟღერს.

### შევისწავლოთ ახალი სიმღერა

## CANLI GUŞƏMİZ

***Musiqisi Midhəd Əhmədovun,***
***sözləri Tofiq Mütəllibovundur.***

**I**

Guşəmizdə göyərçin,
Toyuq, kəklik, qaz da var.
Onlara yemək verib,
Qulluq edir uşaqlar.

**II**

Bizim canlı guşədə
Vardır dovşan, var tülkü.
Toyuqlara hey baxır,
Yenə hiyləgər tülkü.

***Nəqərat:***
Hey baxır, hey baxır,
Yenə hiyləgər tülkü.



LAYİHƏ

სიმღერა „ცოცხალი კუთხე“, რომელიც ბუნების დაცვას ეძღვნება, ორ განყოფილებიანია. ჯერ მისი განყოფილებები ცალ–ცალკე შევისწავლოთ, შემდეგ შევეცადოთ ერთად შევასრულოთ.

ვოლტა

„ვოლტა“ იტალიური სიტყვაა და განმეორებას ნიშნავს.

თუ მელოდია მეორდება, იგი გამერებით რომ არ დაიწეროს, ვოლტას ნიშანს იყენებენ.

მაგალითად:

Not şəkili:




იმ მუსიკალურ ნაწარმოებებში, სადაც ვოლტა იხმარება, მელოდია პირველად ვოლტას გარეშე მთლიანად სრულდება. განმეორებითი შესრულებისას კი, იმ ადგილის შეუსრულებლად, სადაც ვოლტა წერია, II ვოლტაზე გადადიან.



მუღამის სამეული, რომელსაც გამოჩენილი აზერბაიჯანელი მომღერალი ჯაფარ გარიაღდიოღლუ ხელმძღვანელობდა.

## შეკითხვები

1.ვინ არიან სიმღერა ცოცხალი კუთხის ავტორები?
2.რისთვისაა ვოლტას ნიშანი?
3.სხვა რომელი ხალხური სიმღერა მოგისმენია კომპოზიტორთა შემოქმედებაში?

## თემა 23

# აზერბაიჯანული მუსიკა და ნოვრუზის დღესასწაული

ზამთარი უკვე დასასრულს უახლოვდება. ამინდი ნელი–ნელ თბება. მზის სითბო მატულობს, მიწა იღვიძებს, თოვლი დნება. დამდნარი თოვლი ცაში ორთქლდება და წვიმის სახით კვლავ მიწას უბრუნდება. სწორედ ეს თემაა ასახული კომპოზიტორ ფიქრეთ ამიროვის სიმღერაში „გაზაფხული მოდის“, რომელიც მან ზეინალ ჯაბბარზადეს სიტყვებზე შექმნა.

## BAHAR GƏLİR

*Musiqisi Fikrət Əmirovun,*
*sözləri Zeynal Cabbarzadənindir.*

Axar sular aşır, daşır,
Dağ, dərələr yaşıllaşır.
Sevincimiz həddən aşır,
Ay uşaqlar, xoş bahar gəlir!

Dağda çoban çalır tütək,
Ot otlayır qoyun, inək.
Əsir sərin-sərin külək,
Ay uşaqlar, xoş bahar gəlir!

აზერბაიჯანელმა ხალხმა ისეთი სიმღერები შექმნა, როგორიცაა „ნოვრუზი“ და “ნოვრუზის ყვავილი“ ეს სიმღერები ეძღვნება ნოვრუზის დღესასწაულს, რომელიც მთელ თურქულ სამყაროში აღინიშნება. „ნოვრუზი“ ახალ დღეს ნიშნავს. ანუ ნოვრუზ ბაირამის მოსვლა აღმოსავლეთში აღინიშნება როგორც ახალი წლის დადგომა.

მოლით, ეს ცეკვა მოვისმინოთ და ერთად ვიცეკოთ.











LAYİHƏ



# ვარიაცია და მუსიკის განვითარება

LAYİHƏ



# თემა 24

## ვარიაცია მუსიკაში

ვარიაცია ლათინური სიტყვაა. იგი ძირითადი მუსიკალური თემისა და მისი სხვა და სხვა ნაწილების შეცვლასა და გამეორებას ნიშნავს. მაგალითად ერთი ადამიანი პლიაჟზე, სახალხო დღესასწაულებსა თუ სკოლაში სხვა და სხვა ტანსაცმელს იცვამს. ამ დროს მხოლოდ ტანსაცმელი იცვლება, ადამიანი კი იგივე რჩება. ვარიაციაც, როგორც მუსიკალური ჟანრი, ასე უნდა გავიგოთ. კომპოზიტორი ჯერ ძალზედ სადა მუსიკალურ წინადადებას ქმნის. მერე კი ამ წინადადებას სხვა და სხვანაირად ავითარებს. ამას ვარიაცას უწოდებენ.

ერთ–ერთი საშუალება, რომელიც აზერბაიჯანულ ხალხურ მუსიკასთან მიმართებაში გამოიყენება, ეს არის მისი გარკვეულად სახეშეცვლილი ფორმით გამოყენება, ანუ მისი ვარიაციებია.

აზერბაიჯანული ხალხური სიმღერის „იქროლე ქაროს“ მელოდია სწორედ ვარიაციის მეთოდით ვითარდება. სიმღერის პირველი და მეორე წინადადება ოთხ–ოთხი ტაქტისაგან შედგება. პირველი წინადადება შემდეგნაირადაა:

***Ay bu yerlər, sərin yerlər,***
***Əs, ey gilavar, gilavar.***



სიმღერის მელოდიის მეორე წინადადება პირველი წინადადების გარკვეულწილად შეცვლილი, ანუ ვარიაციული ფორმაა:

***Ay boyverməz dərin yerlər,***
***Əs, ey gilavar, gilavar.***

სიმღერის მელოდიის მესამე წინადადება კი ექვსი ტაქტისაგან შედგება და მეორე წინადადების გარკვეული ცვლილების შედეგად წარმოიშვება.

***Ay gətir xəbərin ellər,***
***Əs, ey gilavar, gilavar,***
***Ay xoş gilavar, gilavar.***

როგორც ხედავთ, ნახევარი სიმღერის განმავლობაში ორჯარაა ვარიაცია გამოყენებული. სიტყვები, რომლებიც მელოდიის მესამე წინადადებას მიეკუთნება, ქვემოთაა მოცემული:

***Bağça-barın iyi gəlir,***
***Əs, ey gilavar, gilavar.***
***Heyva, narın iyi gəlir,***
***Əs, ey gilavar, gilavar.***
***Səndən vətən iyi gəlir,***
***Əs, ey gilavar, gilavar,***
***Ay xoş gilavar, gilavar.***

სიმღერის მეორე სტროფიც პირველი სტროფივით სრულდება.



LAYİHƏ

## თემა 24

აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „იელლელი“ უძველეს დროშია შექმნილი. იმის გამო, რომ ეს სიმღერა საცეკვაო ხასიათისაა, მას სიმღერა ცეკვასაც უწოდებენ. როგორც წესი, ამ სიმღერას გოგონები მღერია და ცეკვავენ. სიმღერაში გამოყენებულია რვიანი ჩერექი, წერტილიანი ჩერექ ნოტები და ჩერექ პაუზები. მოვისმინოთ ეს სიმღერა, შემდეგ ნოტებით ვიმღეროთ და ვიცეკვოთ. სიმღერა „იელლელი“ 6/8 ტაქტის ზომისაა სწრაფ ტემპსა და მხიარულ ხასიათს შეიცავს.



### მუსიკალური ლექსიკონი

**აზერბაიჯანული ხალხური მუსიკა** – ხალხური სიმღერები, ცეკვები, თესნიფები, დირინგები, აშუღური მუსიკა და სხვა.

**„იელლალი“** – საცეკვაო ხასიათის აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა

**ვარიაცია** – მცირე მუსიკალური ფრაგმენტის სხვა და სხვა ვარიანტებში განვითარება და აჟღერება.

### შეკითხვები

1. რას ნიშნავს მუსიკაში ვარიაცია?
2. როგორ ვითარდება მუსიკა აზერბაიჯანულ ხალხურ სიმღერაში „იქროლე, ქარო“?
3. როგორი ხასიათისაა აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „იელლალი“.

თემა 25

# ხალხური ცეკვები და ვარიაციები



აზერბაიჯანელ ხალხს მრავალი საცეკვაო მელოდია გააჩნია. სახალხო ხელოვანნი, რომლებიც ამ მელოდიებს ქმნიან, ჯერ 4, ან 8 ტაქტისგან შემდგარ მელოდიებს ქმნიან. შემდეგ კი ინარჩუნებენ რა ძირითად ინტონაციას, სხვა და სხვა ვარიაციების მეშვეობით ავითარებენ მელოდიას. ჩვენ მეორე კლასში უკვე მოვისმინეთ ძველი აზერბაიჯანული ცეკვა „შალახო“ და ვიცეკვეთ კიდეც. ამ გაკვეთილზე კი ჯერ “ შალახოს“ძირითადი მელოდია მოვისმინოთ, შემდეგ კი





LAYİHƏ

ახალი ვარიაციებით განვითარებული ვარიანტი ნოტებით წავიკითხოთ.

ცეკვა „შალახოს“ ცვალებადი ზომის ტაქტი ¾ (6/8) გააჩნია. ანუ ამ ცეკვის ტაქტები ¾ და 6/8 ზომის შესაბამისად მუდმივად იცვლება. ეს ცეკვა ძველ აზერბაიჯანში, კერძოდ კი აბშერონში ფართოდ იყო გავრცელებული. მისი სახელი წარმოიშვა სიტყვიდან „შალა“ , რაც აზერბაიჯანულად შეშის კონას ნიშნავს. იმის გამო, რომ „შალახო“ სწრაფი ტემპისაა, მას როგორც წესი კაცები ცეკვამდნენ.

მარტი, აპრილი და მაისი გაზაფხულის თვეებია. ამ პერიოდში სისხლი დუღს და მათი განწყობაც ამაღლებულია. ფიქრეთ ამიროვის „ ლირიკული ცეკვაც“ სწორედ ასეთ განწყობას გადმოსცემს.

ამ საფორტეპიანო ნაწარმოებს ცოცხალი ტემპი და 2/4 სატაქტო საზომი გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ სი მინორულ ტონალობაში ჟღერს, მხიარული ხასიათისაა. ცეკვის პირველი ორი ტაქტი მფ (მეცო–ფორტე), მეორე ორი ტაქტი კი პ (პიანო) ნიუანსით ჟღერს.

## GƏL, AY SIĞIRÇIN

***Musiqisi Ramiz Mirişlinin,***
***sözləri Rəfiq Zəkanındır.***

I

Gözləyirəm mən səni,
Hardasan, ay sığırçın?
Mən ki yuva qurmuşam,
Nə zamandır səninçin.

*Nəqərat:*
Dəcəl uşaqlar kimi,
Mən səni qorxutmaram.
Balaların olanda,
Yuvandan uçurtmaram.

II

Nə vaxtadək mən səni
Gözləyim, ay sığırçın?
Gəl, səni gözüm üstə
Bəsləyim, ay sığırçın!

*Nəqərat:*
Dəcəl uşaqlar kimi,
Mən səni qorxutmaram.
Balaların olanda,
Yuvandan uçurtmaram.



### შეკითხვები

1. ვინაა სიმღერა „მოდი, შაშვოს“ ავტორი?
2. რა შეგიძლია თქვა ამ სიმღერის შესახებ?
3. ვინაა საფორთეპიანო პიესა „ლირიკული ცეკვის“ ავტორი და რა შეგიძლია თქვა ამ ნაწარმოების შესახებ?
4. როგორ გამოიყენება ვარიაცია აზერბაიჯანული ცეკვა „შალახოს“ განვითარებაში?



LAYİHƏ

თემა 26

# აზერბაიჯანული ხალხური სიმღერები და ვარიაცია

კომპოზიტორმა ელნარა დადაშოვამ გამოიყენა რა აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „ ყანჩა ხეზე“ შექმნა ვარიაცია, რომელიც გუნდურად იმღერება. ამ სიმღერის მელოდია ჯერ უსიტყოდ, ერთი ხმით, მერე ქანუნით, მესამედ კი ორხმიანად ჟღერდება.

### მოვისმინოთ მუსიკა

მოვისმინოთ კომპოზიტორ მუსა მირზაევის „ლირიკული ვარიაცია“

### მუსიკალური ლექსიკონი

**ქანონი** – ერთი მელოდიის დაგვიანების მეთოდის საშუალებით მეორე ხმის მიერ შესრულება.
**ლირიკული მელოდია** – მშვიდი და ნელი ჟღერადობის მუსიკა
**გუნდური კოლექტივი** – ამათუ იმ ვოკალური ნიმუშის შემსრულებელთა ჯგუფი.
**სოპრანო** – ქალის მაღალი ხმა
**ქვე** – ქალის დაბალი ხმა

### კვლავ ორხმიანი სიმღერა ვიმღეროთ

კომპოზიტორ ჯავანშირ გულიევის „სამშობლოს მარში“ ერთხმიანობის პარალელურად ორხმიანიცაა. აქ სოპრანო (გოგონები), ქვე (ბიჭები) ორხმიან გუნდურ სიმღერას ასრულებენ.

ამ სიმღერის სიტყვები პოეტ რაფაელ ჰუსეინოვს ეკუთნის. სიმღერა, რომელიც 2/4 სატაქტო ზომითაა დაწერილი და მარშის ხასიათს ატარებს, თავისი ხალხური სულისკვეთების გამო ადვილად დასამახსოვრებელია.





LAYİHƏ

## VƏTƏN MARŞI

***Musiqisi Cavanşir Quliyevin, sözləri Rəfael Hüseynovundur.***

Qüvvət al hər gülündən,
Qüvvət al sünbülündən.
Qönçə, çiçək də Vətən,
Duz da, çörək də Vətən.

***Nəqarət:***
Qüvvət alaq Vətəndən,
Bizə «bala» deyəndən,
Doyulmazdır can Vətən!
Vətən sənsən, Vətən mən.
Ucal, ucal, can Vətən,
Can sənə qurban Vətən!

Uşaq xor kollektivində səslər aşağıdakı kimi bölünərək qruplara ayrılır:

I სოპრანო
II სოპრანო
I ქვე
II ქვე







### შეკითხვები

1. ვინაა „სამშობლოს მარშის“ ავტორი?
2. რა შეგიძლია თქვა ამ სიმღერის შესახებ?
3. რა შეგიძლია თქვა კომპოზიტორ ელნარა დადაშოვას ვოკალური ვარიაციის შესახებ?
4.. ჩამოაყალიბე აზრი მუსა მირზაევის „ლირიკული ვარიაციის“ შესახებ.

# ვარიაცია და მუსიკის განვითარება



გაზაფხულის დღეები

მუსიიკის ენა სალაპარაკო ენას ჰგავს. ზეპირ სიტყვიერებაში ძირითადი ადგილი წინადადებებს უჭირავთ და ადამიანი ამ წინადადებების მეშვეობით თავის აზრებს სხვა ადამიანებს უზიარებს. ერთ აზრს სხვა და სხვა ადმიანები განსხვავებულად ჩამოაყალიბებენ. ასევე მუსიკაშიც ერთი დასრულებული მუსიკალური აზრი სხვა და სხვა ვარიაციებით შეიძლება იქნას შესრულებული. ანუ ერთი მუსიკალური ნაწყვეტი, ან ერთი ხალხური სიმღერა , იმ პირობით რომ ძირითადი ინტონაციები დარჩეს ხელუხლებელი, ყხვა და სხვანაირად შეიძლება იქნეს შესრულებული. მაგალითად, აზერბაიჯანელი კომპოზიტორი მუსა მირზაევი თავის „ვარიაციებში" ძირითად თემად იღებს აზერბაიჯანულ ხალხურ სიმღერას „იყვავილა" და მას სხვა და სხვა ვარიაციებში აეითარებს.

ახლა კი მოდით, ის ვარიაცია მოეისმინოთ და დავაკვირდეთ კომპოზიტორი რომელი გზებით ავითარებს აღნიშნულ ხალხურ სიმღერას.

ერთიდა იგივე სიმღერა შეიძლება სხვა და სხვა ტემპით შევასრულოთ და ვარიაციები მივიღოთ. მაგალითად, „ კლდის ძირას ფრინველი ვყოფილვიყავი", სინამდვილეში ლაღ მელოდიაზე აგებული სიმღერაა. თუმცა გლინკამ თავის „ რუსლანსა და ლუდმილაში" იგი წყნარი ტემპის მელოდიად აქცია. ავსტრიელმა კომპოზიტორმა რიხარდ შტრაუსმა კი ამ მელოდიას მარშის ხასიათი მიანიჭა. ანუ ერთი და იგივე მელოდია შეიძლება აჟღერდეს სხვა და სხვა ტემპითა და ხასიათით.



კომპოზიტორმა ჯაჰანგირ ჯაჰანგიროვმა სიმღერაში, რომელიც მირზა ალაქბარ საბირის ლექსზე შექმნა, პირველი, მეორე და მესამე წინადადებები სწორედ ვარიაციის წესით განავითარა.



LAYİHƏ



## YAZ GÜNLƏRİ

***Musiqisi Cahangir Cahangirovun,***
***sözləri Mirzə Ələkbər Sabirindir.***

**I**

Gəl-gəl, a yaz günləri,
İlin əziz günləri.
Dağda ərit qarları,
Bağda ərit qarları.

**II**

Çaylar daşıb, sel olsun
Taxıllar tel-tel olsun.
Ağaclar açsın çiçək,
Yarpağı ləçək-ləçək.

### შეკითხვები

1. რა ჰქვია სიმღერას, რომელიც კომპოზიტორმა მ. მირზაევმა აზერბაიჯანული ხალხური სიმღერის „იყვავილას“ საფუძველზე შექმნა?
2. რომელმა კომპოზიტორებმა მიმართეს აზერბაიჯანულ ხალხურ სიმღერას „კლდის ძირას ფრინველი ვყოფილვიყავი“
3. ვინ არიან „გაზაფხულის დღეების“ ავტორები?



LAYİHƏ



თემა 28

# მუსიკის განვითარება და ლადური ცვლილებები



კომპოზიტორები ხშირად სიმღერას მაჟორისა და მინორის მონაცვლეობით ავითარებენ. გარა გარაევის საფორთეპიანო პიესაში „მხიარული ამბავი“მაჟორული და მინორული ლადები ერთმანეთს ორგანულად ენაცვლებიან. ეს ჩრდილისა და სინათლის მონაცვლეობას ჰგავს. გარაევი თავის სხვა ნაწარმოებებშიც, სიმფონიურ და კინო ფილმებისთვის დაწერრილ მუსიკებშიც, მათშორის „შვიდ ლამაზმანსა “და „ მეხიან გზებზე“ ბალეტებშიც იმავე მეთოდს მიმართავს.




**მუსიკალური ლექსიკონი**

მაჟორული ლადი – მხიარული
მინორული ლადი – სევდიანი

შევისწავლოთ ახალი სიმღერა

## MƏKTƏBLİLƏR MAHNISI

***Musiqisi İsmayıl Quliyevin,***
***sözləri Ənvər Əlibəylinindir.***

I
Azad, xoşbəxt uşaqlarıq,
Aşır-daşır sevincimiz.
Böyüklərlə bir sırada,
Gələcəyə gedirik biz.

II
Çalışırıq yorulmadan,
«Əla» qiymət alırıq biz.
Məktəbyanı sahələrdə,
Yaşıl bağlar salırıq biz.

***Nəqərat:***
Vətənin şən nəsliyik biz,
Dostumuzdur kitab, dəftər.
Bizdən razı qalır hər vaxt,
İmtahanda müəllimlər.





LAYİHƏ



# წერტილიანი ნოტები

თუ წერტილი ნოტის მარცხნივ დაისმის, მაშინ მის სიგრძეს ამ ნოტის ნახევარიც ემატება. ანუ თუ წერტილი მთლიანი ნოტის მარჯვნივ დაისმის, მაშინ მისი სიგრძე ნახევარი ნოტით, ნახევარ ნოტთან თუ დაისმის, მისი სიგრძე ჩერექ ნოტით, წერტილი ჩერექ ნოტის მარჯვნივ თუ დაისმის, მაშინ მისი სიგრძე რვიანი ნოტით, რვიანი ნოტის გვერდით თუ დაისმის, მაშინ მისი სიგრძე თექვსმეტიან ნოტამდე გაიზრდება.



## ნოტების საზომები

○ – მთლიანი ნოტი




## შეკითხვები

1. რომელ ნოტებს იცნობ და რა არის მათი განმასხვავებელი თვისებები?
2. გარა გარაევი თავის საფორთეპიანო პიესაში „მხიარული ამბავი“ რომელ მეთოდს მიართავს მუსიკის განვითარებისათვის?
3. ვინ არიან სიმღერა მოსწავლეების ავტორები?
4. რომელ სანოტო საზომებს იცნობ?



თემა 29

# დედის სახე აზერბაიჯანელი კომპოზიტორების შემოქმედებაში



აზერბაიჯანელი კომპოზიტორებიდან ჯაჰანგირ ჯაჰანგიროვის, წგთაი ზულფიგაროვის, საიდ რუსთამოვის, რაშიდ შეფეგის, წგთაი რაჯაბოვისა და სხვათა შემოქმედებაში გვხვდება დედისადმი მიძღვნილი სიმღერები. დედისადმი მიძღვნილი სიმღერებიდან, რომლებიც ბავშვებისთვისაა გათვალისწინებული, ერთ–ერთი საყურადღებო გახლავთ კომპოზიტორ რაშიდ შეფეგის მიერ პოეტ მელინე გულგუნის ლექსზე შექმნილი სიმღერა „დედაჩემი“. სიმღერა მხიარული ხასიათისაა და მაჟორზე აჟღერებული 2/4 მელოდიური საზომი გააჩნია.

შევისწავლოთ ახალი სიმღერა

იმის გამო რომ აზერბაიჯანული ხალხური ცეკვა „ყაზახი“ ჩვენი სამშობლოს მშვენიერ კუთხეში ყაზახში შეიქმნა, მისი სახელიც ამავე მხარის სახელს უკავშირდება. მიუხედავად იმისა რომ ეს სიმღერა მინორულ ლადზეა, 6/8 სატაქტო საზომი მას სწრაფ და მხიარულ ხასიათს ანიჭებს. კომპოზიტორმა რაუფ ჰაჯიევმა გამოიყენა რა ამ ცეკვის მელოდია, დაწერა ცეკვა სიმფონიური ორკესტრისათვის, შემდეგში ეს ცეკვა გამოყენებულ იქნა მხატვრულ ფილმში –„სადაა აჰმედი?“ ასე და ამგვარად, ჩვეულებრივი ხალხური ცეკვა განვითარდა და სიმფონიურ მუსიკად იქცა.

## MƏNİM ANAM

***Musiqisi Rəşid Şəfəqin,***
***sözləri Mədinə Gülgünündür.***

Laylay çalar səhər-axşam,
Məhəbbətlə mənim anam.
Bir sözüm var bu gün sənə,
Məni dinlə, mənim anam!

Unutmarıq bir an səni,
Daim görək cavan səni.
Ucaldacaq dövran səni,
İldən-ilə, mənim anam!

Sən bağbansan, biz gül-çiçək,
Şöhrətindir halal əmək.
Sənin kimi gözəl, göyçək,
Yoxdur hələ, mənim anam.

### შეკითხვები

1. რა შეგიძლია თქვა სიმღერაზე „დედაჩემი“
2. რა შეგიძლია თქვა ხალხური ცეკვა „ყაზახის“ შესახებ?
3. რომელმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა შექმნა სიმფონიური მუსიკა ცეკვა ყაზახიდან?



LAYİHƏ



თემა 30

# სტროფი და ვარიაცია

ჩვენ უკვე რონდოსა და ვარიაციის აგებულებას ყოველმხრივ გავეცანით. ასე, რომ იმ ნაწარმოებში, რომელსაც რონდოს აგებულება გააჩნია, ყოველი ახალი მელოდია წინა მელოდიასთან მიმართებაში ხასიათის თვალსაზრისით პარადოქსულია. იმ ნაწარმოებებში კი, რომლებსაც სარიაციული აგებულება გააჩნიათ, მელოდიის სახე იცვლება, ოღონდ წინააღმდეგობრიობა არ წარმოიშობა. ერთი და იგივე სიმღერა შეიძლება აჟღერდეს როგორც სიმღერის, ასევე ცეკვისა და მარშის ტემპში.

კიდევ ერთხელ მოვისმინოთ და შევასრულოთ კომპოზიტორ ელნარა დადაშოვას საბავშო გუნდისათვის დაწერილისიმღერა „ყანჩა ხეზე“, რომელიც მან აზერბაიჯანული ხალხური სიმღერის თემაზე შექმნა.

რახან უკვე ვარიაციაზე წარმოდგენა გვაქვს, მოვისმიგოთ „გულშანის ვარიაცია“ კომპოზიტორ სულთან ჰაჯიევის ბალეტიდან „გულშანი“.

ცნობლი ნორვეგიელი კომპოზიტორის ედვარდ გრიგიგნის მიერ სპექტაკლისათვის- „პერ–გუთი“ - დაწერილმა მუსიკამ შემდეგში იგი მთელ მსოფლიოს გააცნო. სიმფონიური სუიტა „პერ–გუთი“ რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ერთ–ერთ მათგანს „დილა“ ეწოდება. კომპოზიტორმა აღნიშნულ პოესაშიც სწორედ ვარაციულ აგებულებას მიმართა. მოდით მოვისმინოთ და ჩვენთვის გავარკვიოთ მასში მიმდინარე მელოდიური მონაცვლეობა.

ახლა კი აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „მთებო!“ ჯერ ნოტებით, შეტდეგ კი სიტყვა–სიტყვით წავიკითხოთ.

## A DAĞLAR!

***(Azərbaycan xalq mahnısı)***

A dağlar, qızılgül oyum-oyum,
A dağlar, dərim qoynuna qoyum,
Bacım dəsmalına gül dəstə bağlar.

აზერბაიჯანული ხალხური სიმღერების მელოდიასა და სიტყვებს, როგორც წესი სახალხო მუსიკოსები– აშუღები და მომღურლები ქმნიდნენ. შემდეგ ეს სიმღერები სახალხო ზეიმებზე ჟღერდნენ და ირგვლივ ხალხში ვრცელდებოდნენ.



## შეკითხვები

1. რა შეგიძლია თქვა სიმღერა „მთებოს“ შესახებ?
2. რა განსხვავებაა ვარიაციასა და რონდოს შორის?





LAYİHƏ

თემა 31

## გაზაფხულის თემა მუსიკაში

ერთ წელიწადში ოთხი დრო არსებობს: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. უკვე გაზაფხულის მესამე თვე, ანუ მაისია. სულ მალე საზაფხულო არდადეგები დადგება. გაზაფხული სამი თვისაგან შედგება, ესენია მარტი, აპრილი და მაისი. ახლა კი მოდით მოვისმინოთ კომპოზიტორ შაფიგა ახუნდოვას სიმღერა, რომელსაც „მაისი“ ეწოდება.

### MAY

***Musiqisi Şəfiqə Axundovanın***
***sözləri Mirmehdi Seyidzadənindir.***

I

Uçur mayın böcəyi,
Gəzir gülü, çiçəyi.
Fəsillərin göyçəyi,
Atlas donlu ay gəlir,
Gülərüzlü may gəlir.

II

Bir adətdir həmişə,
Solan zaman bənövşə
Qonar qızılgül döşə.
Hər nübardan pay gəlir,
Gülərüzlü may gəlir.

***Nəqərat:***

Dərə gülür, dağ gülür,
Göydən şəfəq tökülür.
Sevincindən daşan Kür
Salıb bir haray gəlir,
Gülərüzlü may gəlir.

აზერბაიჯანელი კომპოზიტორებიდან მუსა მირზაევმა შექმნა ნაწარმოები ფორთეპიანოსთვის, რომელსაც „გაზაფხულის მუზები“ ეწოდება. ამ ნაწარმოებში გამოყენებულია აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „მთათა მწვერვალი“ . ეს მუსიკა ცეკვა იალლის ძლიერ ჰგავს. ამიტომაც როცა ამ ცეკვას ასრულებენ, ქალები და კაცები ხელი–ხელ ჩაკიდებულები მელოდიის რიტმის შესაბამისად უვლიან წრეს.

#### შეკითხვები

1. წელიწადის რომელ დროს ეძღვნება სიმღერა „მაისი“?
2. ვინ არიან სიმღერა მაისის ავტორები?
3. რომელი აზერბაიჯანული ხალხური სიმღერაა გამოყენებული მუსა მირზაევის საფორთეპიანო პიესაში „გაზაფხულის მუზები“



LAYİHƏ



# განვლილი თემების განმეორება

**1. Sinif konsertinə hazırlıq.**
**2. Öyrənilmiş musiqi terminləri bir daha yada salınır.**

### MƏKTƏBLİLƏR ÜÇÜN MUSİQİ LÜĞƏTİ

**ანტრაქტი**– შესვენება სპექტაკლის დროს ფადებს შორის
**არია** – აგებულების თვალსაზრისით დასრულებული ეპიზოდისიმფონიური ორკესტრის თანხლებით ერთი ვოკალური შემსრულებლის მიერ შესრულებული მუსიკალურრი ნომერი
**ბარტონი** – ბერძნული სიტყვაა, მძიმე ტონს ნიშნავს. (ბასსა და ტენორს შორის შუალედური მამაკაცის ხმა)
**დირიჟორი** – ფრანგული სიტყვაა, მმართველს, წარმმართველს ნიშნავს. პიროვნება, რომელიც მუსიკალურ კოლექტივებს ( ორკესტრი, გუნდი, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, საოპერო და საბალეტო სპექტაკლები) ხელმძღვანელობს და მათ წპრმართავს
**დუეტი** – ლათინური სიტყვაა, ორს ნიშნავს. ანსამბლი, რომელიც ორი კაცისაგან შედგება. ოპერაში, ორატორიასა და კანტანტაში ვოკალური ანსამბლის სახეობა
**ფინალი** – დიდი ფორმის მუსიკალური ნაწპრმოების ( სონატას, სიმფონიის, კონცერტის, ტრიოს, კსარტეტისა და სხვა) დასასრული
**გუიდი** – ვოკალური მუსიკის შემსრულებელთა კოლექტივი
**გუნდმეისტერი** – გუნდის დირიჟორი, გუნდის ხელმძღვანელი
**ინტერვალი** – ლათინური სიტყვაა, შუალედს, მანძილს ნიშნავს. მუსიკაში ორ ხმას შორის (მაღალი ხმა, დაბალი ხმა) მანძილი. არსებობს ინტერვალების ორი სახეობა: ა) მეთოდური ინტერვალი, ბ) ჰარმონიული ინტერვალი.

თუ ინტერვალის წარმომშლბი ხმები ცალ–ცალკე ჟღერს, ასეთ ინტერვალს მეთოდურ ინტერვალს უწოდებენ. როცა ორი ხმა ერთდროულად ჟღერს, მაშინ ჰარმონიული ინტერვალი წარმოიშობა. ძირითადი ინტერვალები ესენია: პრიმა, სეკუნდა, ტერსია, კსარლა, კვინთა, სექსთა, სეპტიმა, ოქტავა
**კამერული მუსიკა**– მუსიკალურ შემსრულებელთა მცირე ჯგუფი სათვის(დუეტი, ტრიო, კვარტეტი და სხვა) შექმნილი ინსტრუმენტალური, ან ვოკალური მუსქკა
**გავოთი** – ძველი ფრანგული ცეკვაა. XVI წარმოიშვა და XVII –XVIII საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში დიდი პოპულარობა მოიპოვა
**ლეგატო** – ნიშანი, რომელიც სხვა და სხვა ტონალობის ხმებს აერთიანებს
**ლიგა** – ნიშანი, რომელიც ერთი ტონალობის ნოტებს აერთიანებს
**ორკესტრი** – დიდი მუსიკალური კოლექტივი. არსებობს ორკესტრის სხვა და სხვა სახეობანი: სიმფონიური ორკესტრი, სიმებიანი ორკესტრი და სხვა
**პაუზა** – შესვენება, რომელსაც მუსიკალური ნაწარმოებების შესრულების დროს მიმართავენ. თვითეულ საზომს თავისი პაუზა გააჩნია
**პიანო** – იტალიურად წყნარს ნიშნავს
**სიმფონია** – დიდი მოცულობის მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც შექმნილია სიმფონიური ორკესტრისათვის. იგი ძირითადად ოთხი ნაწილისაგან შედგება
**სონატა** – ინსტრუმენტალური მუსიკალური ჟანრი





LAYİHƏ

## სარჩევი

### მელოდია სიმღერა ცეკვა მარში

თემა 1. კლასიკური აზერბაიჯანელი კომპოზიტორები, რომლებიც საბავშო სიმღერებსაც წერდნენ........6
თემა 2. პროგრამირებული საბავშო ინსტრუმენტალური მუსიკა........8
თემა 3. პროგრამირებული ინსტრუმენტალური მუსიკები და სიმღერები........10
თემა 4. აზერბაიჯანული საბავშო ხალხური სიმღერა........12
თემა 5. მელოდია მუსიკის სულია........14
თემა 6. მუსიკაში ორგანყოფილებიანობა........16
თემა7. ერთი და სამდანაყოფიანობა მუსიკაში........18
თემა 8. წინა თემების გამეორება........20

### როდო მუსიკაში

თემა 9. რონდო და სხვა ანრები........22
თემა10. სიმღერებიდა რონდო........24
თემა11. რონდოდა სიმღერები........26
თემა12. ზებრი მუღამი და რონდო........28
თემა 13. აზერბაიჯანული ხალხური ცეკვები და რონდო........29
თემა 14. აზერბაიჯანულ ხალხურ და კომპოზიტორთა შემოქმელებაში რონდო........30

### შნტონაცია და მუსიკის განვითარება

თემა 15. ინტონაცია და მუსიკის სახე........32
თემა 16. გამოკვეთილი სიმღერა და გამოკვეთილი სიტყვა........34
თემა 17. მუსიკალური ნაწარმოების ემოციური ხასიათი........36
თემა 18. გამოკვეთილი და სახვითი ინტონაციები........38
თემა 19. ზღვა აზერბაიჯანელი და რუსი კომპოზიტორების შემოქმედებაში........40
თემა 20. მუსიკის განვითარება........42
თემა 21. ევროპელი და რუსი კომპოზიტორების შემოქმედებაში ხალხური მუსიკა........44
თემა 22. ხალხური მუსიკა აზერბაიჯანელი კომპოზიტორების შემოქმედებაში........46
თემა 23. აზერბაიჯანული მუსიკა და ნოვრუზის დღესასწაული........48

### ვარიაცია და მუსიკის განვითარება

თემა 24. ვარიაცია მუსიკაში........50
თემა 25. ხალხურიცეკვებიდა ვარიაციები........52
თემა 26. აზერბაიჯანული ხალხური ცეკვა და ვარიაცია........54
თემა27. სარიაციადამუსიკის განვითარება........56
თემა 28. მუსიკის განვითარება და ლადური ცვლილებები........58
თემა 29. დედის სახე აზერბაიჯანელი კომპოზიტორების შემოქმედებაში........60
თემა 30. სტროფი და ვარიაცია........61
თემა 31. გაზაფხულის თემა მუსიკიში........62
თემა32. განვლილი თემების გამეორება........63

---

Kağız formatı 57x82 $^1/_8$.
Ofset çapı. Ofset kağızı. Məktəb qarnituru. Fiziki çap vərəqi 8,0.
Uçot nəşr vərəqi 7,25. Sifariş 74. Tiraj 200. Pulsuz.

«Təhsil Nəşriyyat-Poliqrafiya» MMC
Bakı, AZ 1052, F.Xoyski küç., 121$^A$

LAYİHƏ